გეოგრაფია თარიღებში

მაია ბლიაძე

გეოგრაფია მეცნიერების ერთ-ერთი უძველესი დარგია. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში მრავალგზის შეიცვალა გეოგრაფიის ამოცანები და შინაარსი. თავდაპირველად გეოგრაფიას აღწერითი ხასიათი ჰქონდა, XIX საუკუნეში კი მეცნიერებად ჩამოყალიბდა. გეოგრაფიული ცოდნა აღმოჩენებისა და გამოკვლევების საფუძველზე გროვდებოდა.

გეოგრაფიული აღმოჩენები ახალი გეოგრაფიული ობიექტების ან კანონზომიერებების მიკვლევას ნიშნავს. გეოგრაფიის განვითარების ადრეულ ეტაპზე უმთავრესი ყურადღება ხმელეთის ჯერ კიდევ უცნობი ნაწილების აღმოჩენას (ტერიტორიული აღმოჩენები) ექცეოდა. შემდგომში, სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ისეთმა აღმოჩენებმა მოიპოვეს, რომლებიც გეოგრაფიულ კანონზომიერებათა გამოვლინებას უწყობდენ ხელს.

ტერიტორიული აღმოჩენები მსოფლიოს გეოგრაფიულ რუკაზე აისახება. ტერიტორიული აღმოჩენები მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების განვითარების საერთო პროცესთან. მათი სოციალურ-ისტორიული როლი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაა.

გეოგრაფიული აღმოჩენებისა და გამოკვლევების ქრონოლოგია

ჩვ. წ. აღ-მდე IX ს. - ფინიკიელების მიერ აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროების კოლონიზაცია, კანარის კუნძულების აღმოჩენა.

ჩვ. წ. აღ-მდე 600 წ. (დაახლოებით) - ჰეროდოტეს თანახმად, ეგვიპტის ფარაონმა ნეჰომ აღჭურვა ფინიკიელების გემები, რომლებმაც თავიანთი მოგზაურობა წითელი ზღვიდან დაიწყეს, გარს შემოუარეს "კეთილი იმედის˜ კონცხს და ხმელთაშუა ზღვამდე მიაღწიეს.

ფინიკილების ფლოტილია





ჩვ. წ. აღ-მდე 510 წ. (დაახლოებით) - ბერძენმა მეზღვაურმა და გეოგრაფმა სკილაკიმ მოაწყო საკვლევი ექსპედიციები მდინარე ინდიზე, ინდოეთის ოკეანესა და წითელ ზღვაზე.

ჩვ. წ. აღ-მდე 500 წ. (დაახლოებით) - ჰეკატეოს მილეთელმა შექმნა ერთ-ერთი პირველი ნაშრომი ქვეყანათმცოდნეობაში - "დედამიწის აღწერა", რომელშიც დედამიწა წრის სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც გარს ოკეანე აკრავს. ჰეკატეოსი დედამიწას ორ ჩრდილოეთ (ევროპა) და სამხრეთ (აზია) ნაწილებად ჰყოფდა: საზღვარი მათ შორის გადიოდა: გიბრალტარიდან ხმელთაშუა ზღვამდე, შავ ზღვაზე მდინარე ფაზისამდე (რიონი), რომელიც აღმოსავლეთ ოკეანის საწყისად ითვლებოდა.

ანაქსიმანდრეს რუკა, რიმელიც მოგვიანებით, ძველმა ბერძენმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა, ჰეკატეოს მილეთელიმა (ძვ. წ. აღრ. 550-490) ჩაასწორა.



ჩვ. წ. აღ-მდე 470 წ. (დაახლოებით) - კართაგენელმა განონმა აფრიკის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ სიერა-ლეონამდე იმოგზაურა.

ჩვ. წ. აღ-მდე 350-320 წწ. - ბერძენმა მეზღვაურმა, ასტრონომმა, მათემატიკოსმა და გეოგრაფმა ჰიფეიმ ევროპის დასავლეთ და ჩრდილოეთ სანაპიროების გასწვრივ იმოგზაურა. აღმოაჩინა კუნძულები: ზელანდია, დიდი ბრიტანეთი და ირლანდია, სკანდინავიისა და ბრეტანის ნახევარკუნძულები, ჩრდილოეთისა და ირლანდიის ზღვები, კატეგატის სრუტე და ბისკაის ყურე.

ჩვ. წ. აღ-მდე 334-321 წწ. - ალექსანდრე მაკედონელის დიდი ლაშქრობა ინდოეთში.

ჩვ. წ. აღ-მდე 326-324 წწ. - ალექსანდრე მაკედონელის ფლოტის მეთაურმა ნეარჰმა მაკედონელის ფლოტი მდინარე ინდის მიმართულებით შესართავამდე გაიყვანა, შემდეგ კი ზღვით მდინარე ევფრატის შესართავამდე. განვლილი გზა მან დეტალურად აღწერა.

ჩვ. წ. აღ-მდე III ს. - ერატოსთენემ შემოიღო ტერმინი "გეოგრაფია" და სათავე დაუდო გეოგრაფიას, როგორც მეცნიერებას. იგი თვლიდა, რომ გეოგრაფიის ძირითადი ამოცანაა რუკების შედგენა. მან დააფუძნა მათემატიკური გეოგრაფია, გაზომა მერიდიანის რკალის სიგრძე და სხვ.



ჩვ. წ. აღ-მდე 100 წ.- I ს. დასაწყისი. - ბერძენმა გეოგრაფმა და ისტორიკოსმა სტრაბონმა თავის ნაშრომში "გეოგრაფია" (17 წიგნი) სრულყოფილად აღწერა მისთვის ცნობილი გეოგრაფიული ადგილები.

სტრაბონის რუკა



60 წ. (დაახლოებით) - რომის იმპერატორ ნერონის ექსპედიციამ მდინარე ნილოსის სათავეებს მიაღწია.

160-180 წწ. - კლავდიო პტოლემეოსს (პტოლემეს) თავის ნაშრომში "სახელმძღვანელო გეოგრაფიაში" (8 წიგნი) 8 000 გეოგრაფიული პუნქტის კოორდინატებია აქვს მოცემული.

პტოლემეოსი და მისი რუკა

981-983 წწ.- ნორმანდიელმა მეზღვაურმა ერიკ როუდიმ აღმოაჩინა კუნძულები გრელანდია, დისკო და ბაფინის მიწა, დევისის სრუტე და ბაფინის კონცხი.

1004 წ.- ნორმან ლეიფ ერიკსონმა (ერიკ როუდის შვილი) გადაკვეთა დევისის სრუტე და ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროებს მიაღწია.



1246 წ. - ფრანგმა მღვდელმა ჯოვანი პიანო-დი-კარპინიმ მონღოლეთამდე მიაღწია, შემდეგ წელიწადს იტალიაში დაბრუნდა და უაღრესად საინტერესო გეოგრაფიული მასალა ჩამოიტანა ნანახი ტერიტორიების შესახებ.

1271-1272 წწ. - იტალიელმა ვაჭარმა მარკო პოლომ ჩინეთში იმოგზაურა, სადაც დაჰყო 17 წელი და 1292-1295 წწ. იტალიაში დაბრუნდა. მან პირველმა მოგვაწოდა სრულყოფილი ცნობები ცენტრალური, აღმოსავლეთი და სამხრეთი აზიის ქვეყნებზე.

1327-1377 წწ.- არაბმა იბნ-ბატუტამ ეგვიპტეში, არაბეთში, მესოპოტამიაში, სირიაში, მცირე აზიაში, ინდოეთში, რუსეთის სამხრეთ რაიონებში, ჩინეთში, ესპანეთში, დასავლეთ და ცენტრალურ სუდანში იმოგზაურა. მან ზუსტად აღწერა ეს რაიონები.



1468-1474 წწ. - რუსმა ათანასე ნიკიტინმა იმოგზაურა სპარსეთსა და ინდოეთში. უკანა გზაზე აფრიკის სანაპიროს (სომალი), მასკატს და თურქეთს ესტუმრა.

1482 წ. - პორტუგალიელებმა დიეგო კანის მათაურებით მდინარე კონგოს შესართავი აღმოაჩინეს.

1488 წ. - პორტუგალიელმა მეზღვაურმა ბართოლომეო დიაშმა, ევროპელთაგან პირველმა გარს შემოუარა აფრიკას და აღმოაჩინა კეთილი იმედის კონცხი.

ბართოლომეო დიაშის მოგზაურობების მარშრუტები



1492-1493 წწ. - ქრისტეფორე კოლუმბმა, ინდოეთისკენ უმოკლესი საზღვაო გზის ძიებაში, გადაცურა ატლანტის ოკეანე, აღმოაჩინა სარგასის ზღვა და 1492 წ. 12 ოქტომბერს მიაღწია და აღმოაჩინა ბაჰამის კუნძულები, კუბა და ჰაიტი.

1493-1504 წწ. - შემდგომი სამი ექსპედიციის დროს ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა დიდი და მცირე ანტილიის კუნძულების ნაწილი, კარიბის ზღვა, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის სანაპიროები.

ქრისტეფორე კოლუმბი და მისი მოგზაურობის მარშრუტები



1497 წ. - იტალიელმა ჯოვანი კაბოტმა გადაცურა ატლანტის ოკეანე და მიაღწია ჩრდილოეთ ამერიკის ნაპირებს კუნძულ ნიუფაუდლენდთან.

1497-1499 წწ. - პორტუგალიელმა ვასკო და გამამ ლისაბონიდან ინდოეთამდე იმოგზაურა. მან გარს შეამოუარა აფრიკას და პირველმა გაიკვლია საზღვაო გზა ევროპიდან სამხრეთ აზიამდე.

ვასკო და გამას ექსპედიციის გაცილება ინდოეთისკენ და მოგზაურობის მარშრუტი



1499-1500 წწ. - ესპანელების ექსპედიციამ ალონსო დე ახედას ხელმძღვანელობით აღმოაჩინა გვიანის სანაპირო, ვენესუელას ყურე, ტბა მარაკაიბო. ამავე პერიოდში მეორე ექსპედიციამ, ვისენტე იანეს პინსონის მეთაურობით, აღმოაჩინა ბრაზილიის ჩრდილოეთ სანაპირო, მდინარე ამაზონის შესართავი და კუნძული ტობაგო.

ალონსო დე ახედა

1500-1503 წწ. - პორტუგალიელების (დიეგო დიასი, ვასკო და გამა) მიერ აღმოჩენილ იქნა სეიშელის კუნძულები, მადაგასკარი და წმინდა ელენეს კუნძული.

1505 წ.- პორტუგალიელების მიერ აღმოჩენილი იქნა კუნძული ცეილონი (შრი-ლანკა).

1507 წ.- ამერიგო ვესპუჩის ხსოვნის საპატივცემულოდ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ესპანურ და პორტუგალიურ (1499-1504) ექსპედიციებში სამხრეთ ამერიკის სანაპიროებთან. მარტინ ვალდზეემიულერის მიერ შემოღებულ იქნა სახელწოდება "ამერიკა".

ამერიკო ვესპუჩი მარტინ ვალდზეემიულერის წიგნში

1509 წ.- ინგლისელთა ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა სებასტიან კაბოტი ჰუძონის ყურე აღმოაჩინა.

1511-1512 წწ.- პორტუგალიელებმა ბანდისა და მოლუკის კუნძულებს მიაღწიეს. არქიპელაგი ინდონეზიის შემადგენლობაში, მალაის არქიპელაგში
კუნძულ სულავესსა და ახალ გვინეას შორის მდებარეობს. ამ კუნძულების ისტორიული სახელია „სანელებლების კუნძულები", როგორც მას ჩინელები და ევროპელები უწოდებდნენ.

1513 წ. - ესპანელებმა ვასკო ნუნიეს დე ბალბოას მეთაურობით პირველმა გადაკვეთა პანამის ყელი და წყნარი ოკეანის სანაპიროზე გავიდა.

1518 წ - ესპანელებმა ხუან დე გრიხალვას მეთაურობით აღმოაჩინეს მექსიკის სანაპირო, პორტუგალიელებმა კი - იაპონიის კუნძულ რიუკიუმდე მიაღწიეს.

1519-1521 წწ. - ესპანელებმა დაიპყრეს მექსიკა.

1520 წ. - ესპანეთის ფლოტილიამ პორტუგალიელი ფერნანდო მაგელანის მეთაურობით აღმოაჩინა და გამოიკვლია სამხრეთ ამერიკის სანაპირო ლა-პლატის სამხრეთით, აღმოაჩინა მაგელანის სრუტე და პატაგონიის კორდილიერები.

1521 წ.- მაგელანის ექსპედიციამ აღმოაჩინა კუნძული გუამა და ფილიპინების კუნძულები.

1522 წ. - მაგელანის ფლოტილიიდან დარჩენილი ერთადერთი გემი "ვიქტორია", ხუან სებასტიან დე ელკანოს მეთაურობით ესპანეთში დაბრუნდა. მაგელანის ექსპედიციამ დაამტკიცა მსოფლიო ოკეანის ერთიანობა და დედამიწის სფეროსებურობა.

ფერნანდო მაგელანი და მისი მოგზაურობის მარშრუტი





1526 წ. - პორტუგალიელებმა აღმოაჩინეს კუნძული ახალი გვინეა.

1526-1530 წწ. - სებასტიან კაბოტმა აღმოაჩინა და გამოიკვლია მდინარეების პარანასა და პარაგვაის ქვედა დინებები.

1529 წ. - ესპანეთის ექსპედიციამ აღმოაჩინა მარშალის კუნძულები (წყნაროკეანური სახელმწიფო მიკრონეზიაში.)

1535 წ.- ფრანგულმა ექსპედიციამ აღმოაჩინა მდ. წმინდა ლავრენტის შესართავი და გამოიკვლია იგი დღევანდელ ქალაქ მონრეალამდე.

1536-1537 წწ.- ესპანელებმა აღმოაჩინეს და დაიპყრეს კოლუმბია.

1540-1541 წწ. - ესპანურმა ექსპედიციამ (ფრანცისკო ვასკეს დეკორონადო) აღმოაჩინა მდ. კოლორადოს აუზი, დიდი კანიონი, მდ. რიო-გრანდეს ზემო დინება და პირველად გადაჭრა დიდი ვაკეების დაბლობი.

1540-1553 წწ.- ესპანელებმა პედრო დე ვალდივიას მეთაურობით აღმოაჩინეს და დაიპყრეს ჩილე.

1541-1542 წწ. - ესპანელებმა ფრანცისკო დე ორელიანას მათაურობით გამოიკვლიეს მდინარე ამაზონის შუა და ქვემო დინება.

ფრანცისკო დე ორელიანას მოგზაურობა



1568 წ.- ესპანეთის ექსპედიციამ აღმოაჩინა სოლომონისა და ტუვალუს კუნძულები.

1578-1579 წწ. - ინგლისელმა ადმირალმა ფრენსის დრეიკმა ამერიკის დასავლეთი სანაპიროს გასწვრივ იმოგზაურა.

1577-1580 წწ. - ფრენსის დრეიკის მეორე მოგზაურობა დედამიწის გარშემო. აღმოჩენილი იქნა სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპირო მაგელანის სრუტიდან ჩ.გ. 48 გრადუსამდე.

ფრენსის დრეიკი და მისი დიდი ექსპედიციის რუკა 1585 წელს ჯოვანი ბატისტა ბოაზიოს მიერ შექმნილი



1582-1585 წწ. - ერმაკის ციმბირული ექსპედიცია.

1585-1587 წწ.- ინგლისელმა მეზღვაურმა ჯონ დევისმა არქტიკის ჩრდილო-დასავლეთ გასასვლელის ძიებაში აღმოაჩინა სრუტე, რომელიც მის სახელს ატარებს.

1592 წ. - ჯონ დევისმა აღმოაჩინა ფოლკლენდის (მელვილის) კუნძულები.

1596 წ. - ჰოლანდიის ექსპედიციამ ალვარო მენდანია დე ნეირას მეთაურობით აღმოაჩინა შპიცბერგენის არქიპელაგი.

1606 წ.- პორტუგალიელმა პედრო ფერნანდეს დე კიროსმა აღმოაჩინა მარჯნის და ახალი ჰებრიდის კუნძულები. ჰოლანდიელმა ვილემ იანსონმა აღმოაჩინა კეიპ-იორკის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპირო (ავსტრალია) და კუნძულ ახალი გვინეის

სამხრეთი სანაპირო. ესპანელმა ლუის დე ტორესმა აღმოაჩინა მარჯნის ზღვა და სრუტე ავსტრალიასა და ახალ გვინეას შორის, რომელიც ტორესის სახელს ატარებს. ასევე ტორესის სახელს აატრებს ტორესის კუნძულები, რომლებიც წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში სანტა-კრუსის კუნძულებსა და ახალ ჰებრიდებს შორის მდებარეობს. კუნძულების შემადგენლობაში შედის ვანუატუს რესპუბლიკის პროვინცია ტორბას შემადგენლობაში. პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრია დასახლება ლუნგჰარეგი. საინტერესო ფაქტია, რომ მიუხედავად სახელისა, არც ტორესს და არც პედრო ფერნანდეს კიროსს (მისი მეთაური) არასდროს უნახავთ და არ გადასულან ტორესის კუნძულებზე.

ტორესის სრუტე



1633 წ.- ილია პერფილოვისა და ივანე რებროვის მეთაურობით კაზაკთა რაზმი მდ. ლენას შესართავამდე დაეშვა.

1634-1641 წწ.- ილია პერფილოვისა და ივანე რებროვის კაზაკთა რაზმმა აღმოაჩინა მდინარეები იანა და ინდიგირკა, გამოიკვლეს სანაპირო ზოლი ამ მდინარეების შესართავებს შორის. პირველად იცურეს აღმოსავლეთ-ციმბირის ზღვაში.

1639 წ. - ტომსკელმა კაზაკმა ივან მოსკვიტინმა პირველად მიაღწია ოხოტის ზღვის სანაპიროებს, აღმოაჩინა სახალინის ყურე.

1642 წ. - ჰოლანდიელმა აბელ ტასმანმა აღმოაჩინა კუნძული ტასმანია, რომელიც მის სახელს ატარებს, ახალი ზელანდიის კუნძულები და კუნძული ტონგა. მან პირველად შემოუარა ავსტრალიას და დაამტკიცა, რომ ავსტრალიის ფართობი არცთუ ისე დიდია და იგი არ წარმოადგენს "სამხრეთის მიწის" ნაწილს.

აბელ ტასმანის გემები

1648 წ.- რუსმა მოგზაურმა სემიონ დეჟნევმა გაცურა მდ. კოლიმას შესართავიდან წყნარ ოკეანეში, გარს შემოუარა ჩუკოტკის ნახევარკუნძულს და აღმოაჩინა სრუტე აზიასა და ამერიკას შორის.

1649-1653 წწ. - ეროფეი ხაბაროვმა მოაწყო რამოდენიმე ექსპედიცია მდინარე ამურის აუზში. და შეადგინა მდინარის აუზის სქემა.

1669-1678 წწ.- მისიონერ-იეზუიტებმა (ლუი ჟოლიე, ლუი ანეპენი, ჰადიფერ დე ლა-საალი) აღმოაჩინეს ერის ტბა და ნიაგარას ჩანჩქერი.

1681 წ.- ჰადიფერ დე ლა-საალმამ იმოგზაურა მდინარე მისისიპზე მის შესართავამდე.

1697-1699 წწ. - ვლადიმერ ატლასოვმა გამოიკვლია კამჩატკის ნახევარკუნძული. მან მოგვცა პირველი ცნობები კამჩატკისა და კურილიის კუნძულების შესახებ.

1736-1742 წწ. - დიმიტრი და ხარიტონ ლაპტევებმა გამოიკვლეს აზიის ჩრდილოეთ-სანაპირო მდინარე ლენას შესართავიდან მდ. ხატანგამდე.

1741 წ. - რუსული ფლოტის კაპიტანმა, დანიელმა ვიტუს ბერინგმა და მისმა თანაშემწემ ალექსეი ჩირიკოვმა, ორი გემით ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროებს მიაღწიეს და აღმოაჩინეს ალეუტის კუნძულები.

1767 წ.- ინგლისის ექსპედიციამ სამუელ უოლისის მეთაურობით აღმოაჩინა კუნძული ტაიტი.

1768 წ.- პირველი ფრანგული ექსპედიცია ლუი ანტუან დე ბუგენვილის მეთაურობით, რომელმაც გარს შემოუარა დედამიწას, აღმოაჩინა რამოდენიმე კუნძული ტუამოტუსა და ლუიზიადას არქიპელაგებში.

ლუი ანტუან დე ბუგენვილის მოგზაურობა დედამიწის გარშემო და კუნძულ ტაიტიზე







A

V O Y A G E

ROUND THE

W O R L D.

Performed by Order of

HIS MOST CHRISTIAN MAJESTY,

In the Years 1766, 1767, 1768, and 1769.

BY

LEWIS DE BOUGAINVILLE,

Colonel of Foot, and Commodore of the Expedition, in the Frigate La Boudeuſe, and the Store-ſhip L'Etoile.

Tranſlated from the French

By JOHN REINHOLD FORSTER, F. A. S.

L O N D O N.

Printed for J. Nourse, Bookſeller to HIS MAJESTY, in the Strand; and T. Davies, Bookſeller to the Royal Academy, in Ruſſel-ſtreet, Covent-garden.

MDCC LXXII.

1770-1778 წწ. - ინგლისელმა მეზღვაურმა ჯეიმს კუკმა სამჯერ მოაწყო ექსპედიცია დედამიწის გარშემო. აღმოაჩინა უამრავი კუნძული წყნარ ოკეანეში, მათ შორის დიდი ბარიერული რიფი, ავსტრალიის აღმოსავლეთი სანაპირო. კუკმა თავისი მოგზაურობის შედეგად დაამტკიცა, რომ ახალი ზელანდია კუნძულებია.

კაპიტან ჯეიმს კუკის მოგზაურობის მარშრუტები. პირველი მოგზაურობა რუკაზე ნაჩვენებია წითლად, მეორე მოგზაურობა მწვანედ და მესამე მოგზაურობა ლურჯად. კუკის ეკიპაჟის მარშრუტი მისი სიკვდილის შემდეგ ნაჩვენებია წყვეტილი ლურჯი ხაზით.



1787 წ. - ფრანგმა მეზღვაურმა ჟან ფრანსუა ლაპერუზმა აზიის აღმოსავლეთი სანაპირო და თათრის სრუტე გამოიკვლია.

1789 წ. – შოტლანდიელმა ვაჭარმა ალექსანდრე მაკენზიმ გამოიკვლია მდინარე მონები, დიდი მონების ტბა; აღმოაჩინა მდინარე, მთები და ყურე, რომელთაც მისი სახელი ეწოდა, ფრანკლინის მთები და რიჩარდსონის ქედი.

ალექსანდრე მაკენზი

1792-1795 წწ.- ინგლისელმა მეზღვაურმა ჯორჯ ვანკუვერმა ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთ სანაპირო გამოიკვლია.

1816-1818 წწ.- რუსეთის სანაოსნო ექსპედიციამ ოტო კოცებუს მეთაურობით აღმოაჩინა კუნძულები ტუამოტუს არქიპელაგში, დასავლეთ ალიასკაზე ყურე, რომელსაც კოცებუს სახელი ეწოდა.

1819-1821 წწ.- ინგლისელების პირველი პოლარული ექსპედიცია ჯონ ფრანკლინის მეთაურობით, რომელთაც ჩრდილოეთ ამერიკის არქტიკული სანაპიროების ნაწილი აღმოაჩინეს.

1820 წ.- პირველი რუსული ანტარქტიდული ექსპედიცია ფადეი ბელინსჰაუზენისა და მიხეილ ლაზარევის მეთაურობით. მათ აღმოაჩინეს ანტარქტიდა და რამოდენიმე კუნძული ატლანტისა და წყნარ ოკეანეებში.

1822-1823 წწ.- ინგლისელების ექსპედიციამ (კლაპერტონი, აუდნი და დანემი) გადაკვეთა საჰარა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და დაამტკიცა, რომ მდინარე ნიგერს არავითარი კავშირი არა აქვს ჩადის ტბასთან.

1823-1826 წწ. - ოტო კოცებუს მეორე სანაოსნო ექსპედიცია, რომლის დროსაც აღმოაჩინეს მარშალის რამოდენიმე კუნძული და ბელინჰაუზენის კუნძულები.

1825-1827 წწ. - ჯონ ფრანკლინის მეორე პოლარული ექსპედიცია.

1826-1829 წწ. - ფეოდორ ლიტკეს რუსული ექსპედიცია დედამიწის გარშემო.

1829-1830 წწ.- ავსტრალიის ინგლისელმა მკვლევარმა ჩარლზ სტიორტმა აღმოაჩინა მდინარე დარლინგი და გამოიკვლია მდინარე მურეის აუზი.

1831 წ. - ინგლისელების ექსპედიციამ ჯეიმს კლარკ როსის ხელმძღვანელობით, ჩრდილოეთ მაგნიტური პოლუსი აღმოაჩინა.

1831-1836 წწ.- ინგლისელმა მაიორმა ტომას მიტჩელმა გამოიკვლია მდინარეები მურეი-დარლინგი და დიდი ავსტრალიის წყალგამყოფი ქედი.

1838-1842 წწ.- ამერიკელების ექსპედიციამ ჩარლზ უილკსის მეთაურობით ჩრდილოეთი პოლინეზიის 260 კუნძული გამოიკვლია და აღმოსავლეთ ანტარქტიდის სანაპიროების ნაწილი (უილკსის მიწა) აღმოაჩინა.

1840-1843 წწ.- ანტარქტიდაში სამი ექსპედიციის განმავლობაში ჯეიმს კლარკ როსმა აღმოაჩინა ზღვა და ყინულის ბარიერი, რომელთაც შემდეგ მისი სახელი დაერქვა. აგრეთვე, ვულკანები ერებუსი და ტორერო.

როსის ექსპედიცია ანტარქტიდაში, ბრიტანელი ფერწერი-მარინისტის ჯონ კარმაიკლის ნახატი

1844-1846 წწ.- ჩარლზ სტრიოტმა პირველად გამოიკვლია ცენტრალური ავსტრალია.

1850-1855 წწ.- გერმანელმა გეოგრაფმა ჰენრიხ ბარტმა ორჯერ გადაჰკვეთა საჰარა.

1852-1856 წწ.- შოტლანდიელმა დევიდ ლევინგსტონმა გადაკვეთა აფრიკა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, აღმოაჩინა ჩანჩქერი ვიქტორია და გამოიკვლია მდინარე ზამბეზის აუზი.

1856-1857 წწ.- რუსმა გეოგრაფმა პეტრე სიმიონოვ-ტიან-შანსკიმ გამოიკვლია ტიან-შანის მთები.

1858 წ.- ინგლისელმა მოგზაურებმა რიჩარდ ბერტონმა და ჯონ სპიკმა აღმოაჩინეს ტბები ტანგანიკა და ვიქტორია.

1858-1859 წწ. - დევიდ ლევინგსტონის მეორე ექსპედიციამ აღმოჩინა ტბები ნიასა და შირვა.

1860-1861 წწ. - ინგლისელმა მკვლევარმა რობერტ ო'ჰარა ბიორკმა პირველმა გადაკვეთა ავსტრალია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

1860-1863 წწ.- ინგლისელებმა (ჯონ სპიკი, ჯეიმს გრანტი) აღმოაჩინეს მდინარე ნილოსის სათავეები.

1864 წ. - ინგლისელმა სამუელ უატმა მდინარე თეთრი ნილოსის სათავეები გამოიკვლია.

1866-1873 წწ. - დევიდ ლევინგსტონის ბოლო ექსპედიცია აფრიკაში.

ლივინგსტონის მემორიალი ქალაქ ბლანტაირში, შოტლანდია

1867-1869 წწ. - რუსმა გენერალმა ნიკოლოზ პრჟევალსკიმ გამოიკვლია უსურიის მხარე.

1870-1873 წწ.- ნიკოლოზ პრჟევალსკის ექსპედიცია მონღოლეთში, ჩინეთსა და ტიბეტში.

1874-1877 წწ. - ინგლისელების ექსპედიციამ ჰენრი მორტონ სტენლის მეთაურობით გადაკვეთა აფრიკა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მთელ სიგრძეზე გამოიკვლია მდ. კონგო (ზაირი), ტბა ვიქტორია და მდინარე ნილოსის სათავეები.

ბრიტანელ-ამერიკელი ჟურნალისტისა და აფრიკის მკვლევარის ჰენრი მორტონ სტენლისა და დეივიდ ლივინგსტონის შეხვედრა აფრიკაში

1876-1886 წწ. - რუსი მკვლევარის ვასილ იუნკერის ორი ექსპედიცია აფრიკაში. გამოკვლეულ იქნა მდინარეების ნილოსისა და კონგოს წყალგამყოფი.

1879-1885 წწ. - ნიკოლოზ პრჟევალსკის ორი ექსპედიცია ტიბეტში.

1900 წ. - ნორვეგიის ექსპედიციამ კარსტენ ბორჰ გრევნიკის მეთაურობით ს. გ. 78^0-ს მიაღწია და როსის ყინულოვანი ბარიერი აღწერა. ექსპედიციამ პირველად გამოიზამთრა ანტარქტიდაში.

1903-1906 წწ. - ნორვეგიის ექსპედიციამ რუალ ამუნდსენის მეთაურობით პირველად გაიარა ჩრდილო-დასავლეთ გასასვლელი კანადის არქიპელაგში.

1907-1909 წწ. - ინგლისის ექსპედიციამ (ერნსტ ჰენრი შეკლტონის მეთაურობით ს.გ. 82^0-ს მიაღწია.

1908-1909 წწ. - ამერიკელებმა ფრედერიკ კუკმა (1908 წ. აპრილი) და რობერტ პირმა (1909 წ. აპრილი) პირველად მიაღწიეს ჩრდილოეთ პოლუსს.

რობერტ პირი და მისი ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლუსზე და პირის მონუმენტი კეიპ-იორკში, ჩრდილო-დასავლეთ გრენლანდიაში

1911-1912 წწ. - ნორვეგიელებმა რუალ ამუნდსენმა (1911 წ. 14 დეკემბერი) და რობერტ სკოტმა (1912 წ. 18 იანვარი) პირველად მიაღწიეს სამხრეთ პოლუსს.

რ. ამუნდსენისა და რ. სკოტის მოგზაურობის მარშრუტები სამხრეთი პოლუსის აღმოსაჩენად



1953 წ. - ედმუნდ ჰილარიმ და თენცინგ ნორგეიმ პირველად დაიპყრეს დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა (ევერესტი).

ედმუნდ ჰილარი და თენცინგ ნორგეი

1955 წ. - სახელმწიფოების მიერ მიღებულია ანტარქტიდის სისტემატიური კვლევის შეთანხმება. 11-მა სახელმწიფომ ანტარქტიდაზე და მის მიმდებარე კუნძულებზე 60 სამეცნიერო სადგური შექმნა.

მოგზაურობები დედამიწის გარშემო

1519-1522 წწ. - ფერნანდო მაგელანი, ხუან სებასტიან დე ელკანო. კაცობრიობის ისტორიაში პირველი მოგზაურობა დედამიწის გარშემო, დამტკიცდა მსოფლიო ოკეანის ერთიანობა, პრაქტიკულად დამტკიცდა დედამიწის სფეროსებულობა. აღმოჩენილ იქნა სამხრეთ ამერიკის სანაპიროები პლა-პლატის სამხრეთით, მაგელანის სრუტე, პატაგონიის კორდილიერები, ფილიპინების კუნძულები, კუნძული გუამა.

1577-1580 წწ. - ფრენსის დრეიკი. მეორე მოგზაურობა დედამიწის გარშემო. აღმოჩენილ იქნა სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპირო მაგელანის სრუტიდან ჩ.გ. 48 გრადუსამდე.

1586-1588 წწ. - ტომას კავენდიში. მესამე მოგზაურობა დედამიწის გარშემო. ამ მოგზაურობას სერიოზული გეოგრაფიული მნიშვნელობა არ ჰქონდა.

1598-1601 წწ. - ოლივიე დე ნოორტი. მეოთხე მოგზაურობა დედამიწის გარშემო (პირველი ჰოლანდიური), სერიოზული გეოგრაფიული მნიშვნელობა არ ჰქონდა.

1766-1769 წწ. - ლუი ანტონ დე ბუჰენვილი. პირველი ფრანგული მოგზაურობა დედამიწის გარშემო. აღმოჩენილა ტუამოტუს და ლუიზიადას არქიპელაგების კუნძულები.

1768-1771 წწ. - ჯეიმს კუკი. დადგენილ იქნა ახალი ზელანდიის კუნძულოვანი მდგომარეობა, აღმოჩენილ იქნა დიდი ბარიერული რიფი, ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპირო

1772-1775 წწ. - ჯეიმს კუკი. ექსპედიციამ ს.გ. 71^0-ს მიაღწია.

1776-1779 წწ. - ჯეიმს კუკი. აღმოჩენილია ჰავაის კუნძულები, ალიასკის სანაპიროს ნაწილი ყურეებით: პრინც-უილიამი, კუკი, ბრისტოლი და ნორტონი.

1803-1806 წწ. - ივან კრუზენშტერნი. რუსეთის პირველი ექსპედიცია დედამიწის გარშემო. ჩატარდა ოკეანოლოგიური გამოკვლევები.

1815-1818 წწ.- ოტო კოცებუ. რუსეთის ექსპედიცია დედამიწის გარშემო. წყნარ ოკეანეში აღმოჩენილია მთელი რიგი კუნძულები.

1819-1821 წწ. - ფადეი ბელინსჰაუზენი. რუსეთის ექსპედიცია დედამიწის გარშემო. აღმოაჩინა ანტარქტიდა, რამოდენიმე კუნძული წყნარ და ატლანტის ოკეანეში.

1823-1826 წწ. - ოტო კოცებუ. აღმოჩენილია ახალი კუნძულები სამხრეთ პოლინეზიაში, მიკრონეზიასა და წყნარი ოკეანის სხვა რაიონებში.

1831-1836 წწ. - რობერტ ფიცროი და ჩარლზ დარვინის მოგზაურობა გემ „ბიგლით“. ჩ. დარვინმა ამ ექსპედიციის დროს მოპოვებული მონაცემების ბაზაზე აღმოაჩინა ორგანული სამყაროს ევოლუციის თეორია.

ბიგლის მარშრუტი მსოფლიოს გარშემო. რუკის ლეგენდა: 1 - დევონპორტი; 2 - კ. ტენერიფე; 3 - კაბო ვერდეს კუნძულები; 4 - ბაია; 5 - რიო დე ჟანეირო, 6 - მონტევიდეო; 7 - ფოლკლენდის კუნძულები; 8 - ვალპარაისო; 9 - ლიმა; 10 - გალაპაგოსის კუნძულები; 11 - ტაიტი; 12 - ახალი ზელანდია; 13 - სიდნეი; 14 - ჰობარტი; 15 - კინგ ჯორჯის ყურე; 16 - კოკოსის კუნძულები; 17 - კ. მავრიკი; 18 - კეიპტაუნი; 19 - ბაია; 20 - აზორის კ-ები.



1895-1898 წწ.- ჯოშუა სლოკამი. პირველმა იმოგზაურა მარტომ დედამიწის გარშემო იალქნიანი იახტით. მოანდომა 3 წელი, 2 თვე და 2 დღე.

1929 წ. - ჰუგო ეკენერი. პირველი მოგზაურობა დედამიწის გარშემო დირიჟაბლით.

ჰუგო ეკენერი და მისი დირიჟაბლი



1957 წ. - სამი ამერიკული თვითმფრინავის „B-12“-ის პირველი დაუჯდომელი გადაფრენა დედამიწის გარშემო.

1961 წ. - იური გაგარინი. პირველი გაფრენა კოსმოსში.

1966 წ. - საბჭოთა წყალქვეშა ნავების რაზმის პირველი მოგზაურობა დედამიწის გარშემო წყლიდან ამოუსვლელად (მეთაური კონტრადმირალი ა. საროკინი).

1968-1969 წწ. - რობინ ნოკს-ჯონსტონი პირველმა იმოგზაურა მარტომ შეუსვენებლად დედამიწის გარშემო იალქნიანი იახტით (მოანდომა 313 დღე).

ადამიანი ლეგენდა - რობინ ნოკს-ჯონსტონი

1976 წ. - პოლონელი იახსტსმენი კრისტინა ჩოინოვსკა-ლისკიევიჩი პირველი ქალია, რომელმაც მარტომ შემოუარა მსოფლიოს იახტა „მაზურკათი“.

1979 წ. - რანულ ფაინსი და ჩარლ ბერტონი. პირველებმა შემოუარეს დედამიწას მერიდიანული მიმართულებით, ე. ი. პოლუსიდან პოლუსამდე.

1993 წლიდან 2003 წლამდე - ჯუმბერ ლეჟავა. პირველმა იმოგზაურა დედამიწის გარშემო მარტომ, ველოსიპედით. სტარტი აიღო 1993 წლის 13 აგვისტოს ქ. რუსთავში. 3333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის,ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისა და აფრიკის 234 ქვეყანა და დამოკიდებული ტერიტორია, 2-ჯერ ეწვია ანტარქტიდას; გადაიღო 50.000-ზე მეტი ფოტო-კადრი და 200 სთ-ზე მეტი ვიდეო ფირი; შექმნა მოგზაურობის 7.000 გვერდიანი დღიური. დაჯილოვებულია საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით, მ.შ. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით, საქართველოს სახელმწიფო პრემიით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მინიჭებული აქვს „მოგზაური დიპლომატის“ სტატუსი (1993), ხოლო იუნესკოსგან — „მსოფლიო სპორტსმენის“ დიპლომი (1999).

გეოგრაფიის განვითარება საქართველოში და ქართველი მოგზაურები

XII ს. 1193-1203 წწ. - ჩახრუხაძის მოგზაურობა სპარსეთში, გურიდების სამეფოში (შედიოდა ირანის აღმოსავლეთი ნაწილი, ავღანეთი, ინდოეთის ნაწილი და სხვა), ინდოეთში, მიაღწია ჩინეთს, იყო იანში (პეკინი), შემდეგ გადავიდა მონღოლეთში, იქიდან ხატაეთში (ჩინეთის ნაწილი), გადალახა მდ. ჯეონი (ამურდარია) და საქარავნო გზით ხაზარეთში ჩავიდა. ეს გზა ცნობილია, როგორც „ძველი აბრეშუმის გზა“. აზიის ქვეყნებში პოეტმა ჩახრუხაძემ 6 წელი დაჰყო, შემდეგ გაეცნო ხაზარეთსა და რუსეთს, კიევის სამთავროს გავლით მიაღწია შავ ზღვას, აქედან გადავიდა კონსტანტინეპოლში. იგი ხმელთაშუა ზღვის შემოვლით გაეცნო ევროპისა (იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი) და აფრიკის (ეგვიპტე, მაღრიბის ხალიფატი და იემენი) სანაპირო ქვეყნებს. ბოლოს ესტუმრა არაბეთს და ბაღდადს.

XIII ს. - უფლისწულების დავით ულუსა და დავით ნარინის იძულებითი მოგზაურობა ყარაყუმში.

XIV ს-ის I ნახევარი - ეფრემის მოგზაურობა ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე, მან ინდოეთის ოკეანის გავლით შეამოუარა აფრიკას, გადავიდა პირინეის ნახევარკუნძულზე, შემდეგ ბრიტანეთის კუნძულებზე და, აქედან, გერმანიის გავლით, სამშობლოში დაბრუნდა.

XVII ს. 1626-1629 წწ.- ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (იგივე ნიკოფორე ირბახი) მოგზაურობა ევროპაში.

1713-1716 წწ. - სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა დიპლომატიური მისიით ირანში, საფრანგეთსა და იტალიაში. მან თავისი მოგზაურობა აღწერა ნაშრომში „მოგზაურობა ევროპაში“, რომლის შემორჩენილი ტექსტი პირველად 1940 წ გამოიცა. სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის, აგრეთვე, ლექსიკონი „სიტყვის კონა“, რომელსაც უდიდესი გეოგრაფიული მნიშვნელობა აქვს.

XVIII ს. - ვახუშტი ბაგრატიონმა შექმნა ფუნდამენტური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, საქართველოს ატლასები, თარგმნა „მსოფლიო გეოგრაფია“ ატლასებთან ერთად. იგი ქართველი სამეცნიერო გეოგრაფიის ფუძემდებლად ითვლება.

1737-1742 წწ. - ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობა რუსეთში.

1755-1759 წწ. - მისივე მოგზაურობა წმინდა ადგილებში: თურქეთში, საბერძნეთსა და იერუსალიმში. მას ეკუთვნის ნაშრომი „მოხილვა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთსა ადგილთა“.

1738-1739 წწ. - ერეკლე ბატონიშვილის მოგზაურობა ინდოეთში (ჯერ კიდევ მის გამეფებამდე).

1782-1792 წწ. - იონა გედევანიშვილის მოგზაურობა რუსეთში, თურქეთსა და საბერძნეთში. მან მოგზაურობის შთაბეჭდილებანი აღწერა წიგნში „პუტეშესტვიე, ესე იგი მიმოსვლა ანუ მგზავრობა, ქმნილი გედეონოვ სარდალ გაბრიელის ძის იონა მიტროპოლიტისაგან“.

1795-1827 წწ. - რაფიელ დანიბეგაშვილის ხუთგზის მოგზაურობა ინდოეთსა და ბირმაში. მას ეკუთვნის ნაშრომი: „მოგზაურობა ტფილისიდან ინდოეთამდის ქართველი აზნაურის რაფიელ დანიბეგაშვილისა“. მან მოგზაურობაში 28 წელიწადი გაატარა, დაახლოებით ორი ეკვატორის ტოლი მანძილი გაიარა და 10-ზე მეტი სახელმწიფო აღწერა.

1801-1809 წწ. - ნიკოლოზ ონიკაშვილის მოგზაურობა რუსეთში ქართველების ჯგუფთან ერთად (ჯგუფში შედიოდა 14 კაცი, მათ შორის მეფე გიორგის შვილები იოანე, ბაგრატი და მიხეილი). მან დაწერა თხზულება `მოგზაურობა ტფილისიდან პეტერბურგამდე~.

1819-1820 წწ. - გიორგი ავალიშვილის მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმამდე და უკან. მან მოგზაურობის შთაბეჭდილებები სამოგზაურო დღიურების სახით გადმოსცა.

1815-1825 წწ. - გრიგოლ ბატონიშვილი (იოანე ბატონიშვილის შვილი) მსახურობდა მეფის რუსეთის ჯარში და მონაწილეობდა ლაშქრობებში ნაპოლეონის წინააღმდეგ. მან აღწერა ქალაქები და მხარეები და დაწერა წიგნი „მოგზაურობა“ დღიურების სახით.

1868 წ. - ი. გოგებაშვილმა შექმნა პირველი ქართული სასკოლო სახელმძღვანელო „ბუნების კარი“.

1874 წ. - გიორგი ყაზბეგმა იმოგზაურა თურქეთში.

1880-1884 წწ. - ალექსანდრე დადეშქელიანი მსახურობდა ამურისპირეთსა და კორეაში და დაწერა ნაშრომი კორეის შესახებ, რომელსაც დართული აქვს კორეის რუკა.